წერილის ნომერი: **61-01253651245**
თარიღი: **31/12/2025**

ადრესატი: შპს ალფა ფროფერთი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404605094
მისამართი: თბილისი, მოსაშვილის 24 (ტელ: 595008800; 599933975)

ასლი:

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში: **სააგენტო**) 2025 წლის 23 დეკემბერს წარმოდგენილი №10/01253573360-61 განცხადების პასუხად გაცნობებთ, შემდეგს:

სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი“, ს/კ: 404605094, შემდგომში: **მყიდველი**) შორის 2021 წლის 29 აპრილს დაიდო „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულება“ (შემდგომში - **ხელშეკრულება**), რომლითაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1-დან №13-ის ჩათვლით) (მიწის ნაკვეთის ს/კ №01.16.03.058.062) (შემდგომში: **პრივატიზებული ქონება**), ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით.

სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა შეთანხმება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (შემდგომში: **შეთანხმება**), რომლითაც ხელშეკრულებაში შევიდა რიგი ცვლილებები და დამატებები.

გარდა ამისა, სააგენტოსა და მყიდველს შორის 2025 წლის 30 ივლისს გაფორმდა „2021 წლის 29 აპრილის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებითა და 2023 წლის 28 სექტემბრის შეთანხმებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების თაობაზე“ შეთანხმება (შემდგომში: **დამატებითი შეთანხმება**), რომლითაც დაზუსტდა და განევრცო პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებით, მხარეთა შორის ხელშეკრულებითა და შეთანხმებით წარმოშობილი ურთიერთობები.

დამატებითი შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა პრივატიზებულ ქონებაზე არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, უფლებრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ან მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირებისათვის, არაუგვიანეს 2025 წლის 29 ოქტომბრისა, დამატებითი შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

„ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.058.062; №01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის

დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №440 განკარგულებით დამტკიცდა ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.058.062; №01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა (შემდგომში: **განაშენიანების რეგულირების გეგმა);**

განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, პრივატიზებული ქონება დაიყო №01.16.03.058.076, №01.16.03.058.077, №01.16.03.058.078, №01.16.03.058.079, №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო ერთეულებად, საიდანაც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაგეგმილია №01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე (თითოეული საკადასტრო ერთეული შემდგომში მოხსენიებულია, როგორც: ძირითადი ლოტი, ხოლო ერთად: **ძირითადი ლოტები),** შესაბამისად, ხელშეკრულებისა და დამატებითი შეთანხმების თანახმად, ფართების გადმოცემის ვალდებულება ვრცელდება აღნიშნულ ლოტებზე მშენებარე შენობა-ნაგებობებზე;

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, №01.16.03.058.079 და №01.16.03.058.076 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებებზე მომზადებულ ამონაწერებში რეგისტრირებული ვალდებულება (რეგ. №882021699709) წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების (მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით) ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ რეგისტრირებულ ვალდებულებას.

დანართი: 51 (ორმოცდათერთმეტი) ფურცლად

პატივისცემით,

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი